ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 35

ქალაქი ქუთაისი 29 ივნისი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს**:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.01.2018, №010250050.35.123.016415), კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებულ №1 დანართში (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულება) შეიცვალოს მე-8 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სამსახურის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილება

სამსახურის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის პროგრამებისა და პროექტების შემუშავება კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, გამოცდილებისა და პრაქტიკის დანერგვისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

გ) მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის იდენტიფიცირება, საინვესტიციო პორტფოლიოს შექმნა (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში კატალოგის, გზამკვლევის ან სხვა საპრეზენტაციო პუბლიკაციების მომზადება) კომპეტენციის ფარგლებში;

დ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და სამეწარმეო აქტივობების სტიმულირებისათვის ადგილობრივი, ინტერმუნიციპალური, რეგიონული და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება, მათ შორის კონფერენციების, ფორუმების, სიმპოზიუმების, ტრენინგების, გამოფენა – ბაზრობების, ბეჭდური გამოცემების, სარეკლამო – საპრომოუშენო აქციების ორგანიზება და/ან მათში მონაწილეობა;

ე) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ანალიზისათვის შესაბამისი უწყებებიდან სტატისტიკური ინფორმაციის, მონაცემების, მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და დარგობრივი კვლევების ანალიზის მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) შიდა და გარე პოზიციებზე ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში, საამისოდ შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა;

თ) ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ადგილობრივ დონეზე მათი დანერგვისათვის წინადადებების მომზადება, კერძო და საჯარო ინიციატივების ხელშეწყობა; ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო, საგანმანათლებლო, სადემონსტრაციო და საკონსულტაციო ინსტრუმენტების შემუშავება, „მერების შეთანხმების“ ფარგლებში მონაცემთა ბაზების შემუშავების კოორდინაცია;

ი) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პროცესის კოორდინაცია მოსახლეობის ხარისხიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით;

კ) სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, პროექტებისა და წინადადებების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ლ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის გაუმჯობესების მიზნით პროგრამების მომზადება, მათი რეალიზების ხელშეწყობა საზოგადოების მოთხოვნილებების გათვალისწინებით. აღნიშნულ პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

მ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფების განსაზღვრისა და მგზავრობის ღირებულების გადახდის ფორმების თაობაზე წინადადებებისა და პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ნ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის თაობაზე წინადადებებისა და პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ო) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის

M_2 და M_3 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტების სატრანსპორტო სქემებში ცვლილებების შეტანისა და ახალი მარშრუტების სატრანსპორტო სქემების დამტკიცების თაობაზე წინადადებებისა და პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

პ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ნებართვის გაცემისათვის პროცესების კოორდინირება საქართველოს კანონმდებლობის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის სამართლებრივი აქტების საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში;

ჟ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სანებართვო საქმიანობის განმახორციელებელი გადამზიდავი კომპანიების კოორდინაცია მოსახლეობის ხარისხიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით;

რ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირებისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების დაყენებაზე, მოხსნასა და მონიშვნაზე შესაბამის სამსახურებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და სტრუქტურებთან კოორდინაცია და წინადადებების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ს) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე გაჩერებების განსაზღვრისა და გაჩერებებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში მონაწილეობის მიღება შესაბამის ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად;

ტ) შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან შეთანხმებით, ქუჩებსა და მოედნებზე საგზაო ნიშნებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების დაყენების/მოხსნის, საგზაო მონიშვნით სამუშაოების განხორციელებაზე წინადადებების მომზადება და კოორდინაცია;

უ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია